

## სტუდენტის ცოდნის შეფასება. შეფასების ფორმა და მეთოდები.

შესაფასებელი კომპონენტები: • ლექციაზე აქტიურობის შეფასება; • დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკულ მეცადინეობაზე; პრაქტიკულ მეცადინეობებზე დავალებების მომზადება, მსჯელობისა და მიხვედრილობის უნარის შეფასება, ლიტერატურის ანალიზისა და საკუთარი კომენტარების (შეხედულებების) გამოთქმის და დასაბუთების შეფასება • წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს; სემინარებზე ზეპირი მსჯელობის, ლოგიკური აზროვნების და აზრის გადმოცემის უნარის შეფასება; წერიტი დავალებისას შემოქმედებითი და კრიტიკული მიდგომის შეფასება • გამოცდებზე კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა და მსჯელობის კულტურის შეფასება • სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს; • ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება ფინალური გამოცდის დროს. • სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას შემოქმედებითი მიდგომა და ინოვაციური გადაწყვეტილებების დასახვა შეფასების მეთოდები: • ტესტირება; • ზეპირი გამოკითხვა; • წერიტი დავალება; • ჯგუფური/ინდივიდუალური დანართის პრეზენტაცია; შეფასების ფორმები: • ყოველკვირეული შეფასება; • შუალედური შეფასება; • შემაჯამებელი გამოცდა. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები: სასწავლო კურსების ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით და შემდეგი პრინციპებით: 1. აქტიურობა პრაქტიკული მეცადინეობების დროს - 0 - 20 ქულა; შემოწმდება: აღქმის უნარი, სალექციო თემის დამუშავების სისრულე, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, დისკუსიის უნარი და სხვ. 2. I შუალედური შეფასება - 0 - 25 ქულა. შუალედური შეფასება ტარდება წერიტი ფორმით მე-6 კვირაში; ფასდება I-V საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერიტი მეტყველების კულტურა; 3. II შუალედური შეფასება - 0 - 25 ქულა. მეორე შუალედური შეფასებაც ტარდება წერიტი ფორმით

მე-11 კვირაში; ფასდება VI-X საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა; 4. შემაჯამებელი გამოცდა - 0 - 30 ქულა. შემაჯამებელი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით სემესტრის დასრულების შემდეგ. ფასდება ყველა ძირითადი სალექციო საკითხის ცოდნისა და გაცნობიერების დონე. დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა. შემაჯამებელ გამოცდაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცოდნის სინთეზისა და ახალი იდეების კონსტრუირების უნარს. შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და შემაჯამებელი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა. შემაჯამებელი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუკი სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტს. სტუდენტთა ცოდნის საბოლოო შეფასება ხდება დაგროვილი ქულების საერთო ჯამით შემდეგი სქემის შესაბამისად: სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა: დადებითი შეფასება: • A – ფრიადი – მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი; სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; • B – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90%; სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად დამოუკიდებლად მსჯელობს; • C – კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80%; სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას; • D – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%; სასწავლო კურსის მოთხოვნების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია მისი შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას. • E – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს. უარყოფითი შეფასება: • FX – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50%; სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ; ბაკალავრიანტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • F – ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები ან არ იქნა დაშვებული ფინალურ გამოცდაზე; სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.